

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა–ვაკე

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია

და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია

სპეციალური დანიშნულების წინასწარი მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სპეციალური დანიშნულების წინასწარი საკუთარი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	3
სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	11
5. ამონაგები რეალიზაციიდან	11
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
8. კომერციული ხარჯები	13
9. ძირითადი საშუალებები.....	14
10. მარაგები	15
11. სავაჭრო მოთხოვნები	15
12. ავანსები და სხვა მიმდინარე მოთხოვნები	16
13. ფულადი სახსრები	16
14. კაპიტალი	16
15. მიღებული სესხები.....	16
16. საგადასახადო ვალდებულებები.....	17
17. მიღებული ავანსები და სხვა მიმდინარე ვალდებულებები	17
18. სავაჭრო ვალდებულებები	18
19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	18
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	19

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	21
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	22
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	23
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	23
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	23
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.	23
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“-ს ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“-ს (შემდგომში კომპანია) სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის აუდიტი, რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების წინასწარ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სპეციალური დანიშნულების წინასწარ მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, წინასწარი კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია შენიშვნა 2-ში მოცემული მომზადების საფუძვლების შესაბამისად, რომელიც აღწერს თუ როგორ იქნა გამოყენებული მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტი, ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ დაშვებებს სტანდარტის იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც ძალაში იქნება, როდესაც კომპანია მოამზადებს მსს ფასს-ის სრულად შესაბამის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ, სააღრიცხვო ჩანაწერების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება, რომ განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ მარაგებთან მიმართებაში.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედასტურებინა ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულების და დაგროვილი ცვეთის სისწორე. კომპანიის ძირითადი საშუალებები სპეციალური დანიშნულების წინასწარ ფინანსურ ინფორმაციაში წარდგენილია თვითღირებულებით, მენეჯმენტი გეგმავს გამოიყენოს სტანდარტით დადგენილი ნებაყოფლობითი გამონაკლისი და მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, ძირითადი საშუალებების ღირებულებად აიღოს რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება, მაშინ როდესაც მოამზადებს სტანდარტის სრულად შესაბამის ანგარიშგებას.

კომპანიაში დიდი ხნის განავლობაში არ არის ჩატარებული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია და დანომვრა, შენობა-ნაგებობების და დაუმთავრებელი მშენებლობის ჯგუფების გარდა, სხვა ძირითად საშუალებებზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბალანსო ღირებულებით 1,191 ათასი ლარი. ჩვენ ვერ შევძელით დავერწმუნებულიყავით ძირითადი საშუალებების არსებობაში, რადგან არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული აქტივის მიკვლევადობას. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ თანხებთან მიმართებაში.

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 20-25 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ინფორმაციასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგებო წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის თანმიმდევრულად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ინფორმაციას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გაგამახვილოთ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, უზრუნველყოფს თუ არა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით კომპანიის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

22 ნოემბერი, 2019

თბილისი, საქართველო.



დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ინფორმაციას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დაყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებითი შენიშვნებს და ასევე იმას, უზრუნველყოფს თუ არა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით კომპანიის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

22 ნოემბერი, 2019

თბილისი, საქართველო.

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-გაკე


სპეციალური დანიშნულების წინასწარი მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2018
ამონაგები რეალიზაციიდან	5	23,361
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(16,670)
საერთო მოგება		6,691
სხვა საოპერაციო შემოსავალი		34
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,316)
კომერციული ხარჯები	8	(2,727)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(13)
საოპერაციო მოგება		1,669
ფინანსური შემოსავალი		60
ფინანსური ხარჯი		(313)
მოგება დაბეგვრამდე		1,416
მოგების გადასახადი		-
წლის სრული შემოსავალი		1,416

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 22 ნოემბერს შემდეგი პირის მიერ:



 ლევან ჩხაიძე
 დირექტორი

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

სპეციალური დანიშნულების წინასწარი მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2018
ამონაგები რეალიზაციიდან	5	23,361
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(16,670)
საერთო მოგება		6,691
სხვა საოპერაციო შემოსავალი		34
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,316)
კომერციული ხარჯები	8	(2,727)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(13)
საოპერაციო მოგება		1,669
ფინანსური შემოსავალი		60
ფინანსური ხარჯი		(313)
მოგება დაბეგვრამდე		1,416
მოგების გადასახადი		-
წლის სრული შემოსავალი		1,416

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 22 ნოემბერს შემდეგი პირის მიერ:

ლევან ჩხაიძე
დირექტორი

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	3,329	1,264
არამატერიალური აქტივები		43	49
გრძელვადიანი აქტივებისათვის გადახდილი ავანსი	9	718	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,090	1,313
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	1,020	1,009
სავაჭრო მოთხოვნები	11	2,196	1,596
ავანსები და სხვა მიმდინარე მოთხოვნები	12	226	199
ფულადი სახსრები	13	122	143
სულ მიმდინარე აქტივები		3,564	2,947
სულ აქტივები		7,654	4,260
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	1,300	1,300
გაუნაწილებელი ზარალი		(2,194)	(3,610)
სულ კაპიტალი		(894)	(2,310)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	15	3,841	1,645
გრძელვადიანი საგადასახადო ვალდებულებები	16	78	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,919	1,645
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	15	880	402
საგადასახადო ვალდებულებები	16	1,503	2,090
მიღებული ავანსები და სხვა მიმდინარე ვალდებულებები	17	41	108
სავაჭრო ვალდებულებები	18	2,205	2,325
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,629	4,925
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,654	4,260

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

სპეციალური დანიშნულების წინასწარი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი ზარალი	სულ
1 იანვარი 2018	1,300	(3,610)	(2,310)
საანგარიშგებო წლის სრული მოგება		1,416	1,416
31 დეკემბერი 2018	1,300	(2,194)	(894)

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	28,170
მომწოდებელთათვის გადახდილი ფული	(21,755)
თანამშრომელთათვის გადახდილი ფული	(3,375)
გადასახადები და სხვა სავალდებულო გადასახდელები	(2,397)
გადახდილი პროცენტი	(293)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	350
 ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
გრძელვადიანი აქტივების რეალიზაცია	15
გრძელვადიანი აქტივების შესყიდვები	(3,033)
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(3,018)
 ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	
მიღებული სესხი	3,017
სესხის დაფარვა	(361)
წმინდა ფული გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში	2,656
 ნეტო ზრდა ფულის და ფულის ეკვივალენტების	(12)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	143
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე, ნეტო	(9)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	122

1. კორპორატიული ინფორმაცია

ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2008 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205264284.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია საქართველოში წარმოადგენს ხორცპროდუქტების მწარმოებელ-სადისტრიბუციო კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა ხორცპროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანია ფლობს ხორცპროდუქტების მწარმოებელ ქარხანას და სასაწყობე მეურნეობას თბილისში. აღნიშნული სავაჭრო ნიშნით ხორცპროდუქტების წარმოება ხდება 1961 წლიდან.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, თამარაშვილის შესახ., N15. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ.თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის II შესახვევი N7.

კომპანიის მეწილეები: დეტალური ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია მე-14 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია მომზადდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდეგში მსს ფასს) კომპანიის მიერ მიღების ნაწილი, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშის შედგენის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშის შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. კომპანიის მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშის შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია მომზადდა იმ მიზნით, რომ კომპანიამ შეძლოს მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის სრულად შესაბამისად ანგარიშგების მომზადება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია არ შეიცავს შესაძარის მონაცემებს გადასვლის თარიღამდე პერიოდისთვის.

შესაბამისად, წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ წარმოადგენს მსს ფასს-ის შესაბამის ფინანსური ანგარიშგების სრულ ნაკრებს.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია მოამზადებს მის პირველ სრულფასოვან ფინანსურ ანგარიშგებას მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აქედან გამომდინარე, სანამ კომპანია მოამზადებს მის პირველ სტანდარტის სრულად შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას, შესაძლებელია მოხდეს აღნიშნული სპეციალური დანიშნულების წინასწარ ფინანსური ინფორმაციაში წარდგენილი მონაცემების შესწორება, სანამ საბოლოო შესაძარის ინფორმაციის წარმოდგენა მოხდება კომპანიის პირველ სრულ კომპლექტში მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მესამე შენიშვნაში მოცემულია სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოყენებულია სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის და წარმოდგენილ საანგარიშგებო პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის მომზადება მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის, წარმოდგენილია მეოთხე შენიშვნაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის პირველი გამოყენება. ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე, კომპანიას არ მოეთხოვებოდა მოემზადებინა რაიმე სახის ფინანსური ანგარიშგება და წარსულში რაიმე ფინანსური ანგარიშგება არ მოუმზადებია. ამრიგად, სპეციალური დანიშნულების წინასწარ ფინანსურ ინფორმაციაში არ არის წარმოდგენილი თუ რა გავლენა იქონია წინა სტრუქტურული საფუძვლებიდან მის ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ საქმიანობაზე და ფულადი სახსრების მოძფრაობაზე.

მის ფასს-ზე გადასვლამდე, კომპანია ინახავდა ჩანაწერებს იმ პოლიტიკის გამოყენებით, რომლებიც გარკვეულწილად საგადასახადო კანონმდებლობას ეფუძნებოდა. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა სავალდებულო გამონაკლისები და აირჩია ისარგებლოს ნებაყოფლობითი შეღავათით მაშინ როდესაც მოამზადებს მის ფასს-ის სრულად შესაბამის ანგარიშგებას:

რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას ძირითადი საშუალებები გაზომილია თვითღირებულებით, კომპანიამ გადაწყვიტა ქონების, საწარმოო აღჭურვილობის, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა საწარმოო აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის გამოიყენოს რეალური ღირებულება როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება მის ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის.

კომპანიამ არ გამოიყენა რაიმე სახის ზოგადი გამონაკლისები მის ფასს სტანდარტის 35.11 ნაწილის შესაბამისად.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბერი	2,6766	3,0701
2018 წლის 1 იანვარი	2,5922	3,1044

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მსს ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს რეალური ღირებულება როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის გასაზომად.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	30
მანქანა-დანადგარები	2-12
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	2-10
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა მ/ს	2-8

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ბუღალტრული პროგრამა	10
სხვა	10

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღრიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლის/მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

კომპანია ამონაგებში რთავს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის შესაბამის თანხას. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში უნდა ჩართოს მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები. მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები საწარმოს ამონაგები არ არის.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეთება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ინფორმაციის ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიკური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.
- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. კომპანია გეგმავს გადახედოს დადგენილ სასარგებლო მომსახურების ვადებს მას შემდეგ რაც მოხდება ძირითადი საშუალებებისთვის რეალური ღირებულების, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულების დადგენა.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

ამონაგები კატეგორიების მიხედვით:

	2018
დაფასებული ხორცპროდუქტები	11,925
ხორცპროდუქტები დაფასობის გარეშე	10,471

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ამონაგები რეალიზაციიდან (გაგრძელება)

ნახევარფაბრიკატები	436
სხვა პროდუქცია	529
ჯამი	23,361

ამონაგები საქმიანობის ტიპების მიხედვით:

	2018
საბითუმო ვაჭრობა	20,567
საცალო ვაჭრობა	2,794
ჯამი	23,361

კომპანია შემოსავალს აგენერირებს როგორც წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციით და სხვა კორპორატიული გაყიდვებით, ასევე საკუთარი მაღაზიების ქსელის საშუალებით.

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2018
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(15,759)
საქონლის გაუფასურება, დანაკარგი და დანაკლისი	(911)
ჯამი	(16,670)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018
შრომის ანაზღაურება	(1,514)
კომუნალური მომსახურების ხარჯი	(177)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(143)
საგადასახადო ხარჯი	(108)
საკანცელარიო ხარჯი	(63)
საკონსულტაციო ხარჯი	(46)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(45)
მივლინების ხარჯი	(37)
იჯარის ხარჯი	(31)
საკომუნიკაციო ხარჯი	(28)
ცვეთა და ამორტიზაცია	(30)
საექვო და უიმედო ვალების ხარჯი	(21)
დაზღვევის ხარჯი	(16)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(57)
ჯამი	(2,316)

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. კომერციული ხარჯები

	2018
შრომის ანაზღაურება	(1,211)
დისტრიბუციის ხარჯი	(501)
რეკლამის ხარჯი	(398)
იჯარის ხარჯი	(312)
საქონლის შეფუთვის ხარჯი	(126)
ცვეთა და ამორტიზაცია	(126)
სხვა	(53)
ჯამი	(2,727)

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მიმდინარე მშენებლობა	მანქანა დანადგარები	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება								
2018 წლის 1 იანვარი	-	73	2,666	148	685	200	988	4,760
შემოსვლა	559	917	583	11	62	11	169	2,312
გასვლა	-	-	-	-	(25)	-	(3)	(28)
2018 წლის 31 დეკემბერი	559	990	3,249	159	722	211	1,154	7,044
დაგროვილი ცვეთა								
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარი	-	-	(2,303)	(86)	(323)	(132)	(652)	(3,496)
ცვეთა	(1)	-	(58)	(16)	(75)	(15)	(59)	(224)
გასვლა	-	-	-	-	3	-	2	5
2018 წლის 31 დეკემბერი	(1)	-	(2,361)	(102)	(395)	(147)	(709)	(3,715)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2018 წლის 1 იანვარი	-	73	363	62	362	68	336	1,264
2018 წლის 31 დეკემბერი	558	990	888	57	327	64	445	3,329

2016 წლის 1 სექტემბერს სსიპ "სახელწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო"-სა და შპს "ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე"-ს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 აგვისტოს განკარგულებას. ხელშეკრულების მიხედვით კომპანიას საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის II შესახვევის N7-ში მდებარე 8,991 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობი. ნასყიდობის ღირებულება შეადგენს 1 ლარს.

ამავე ხელშეკრულებით, შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკემ აიღო შემდეგი ვალდებულებები:

- უზრუნველყოს ქონებაზე საკვები პროდუქტების მწარმოებელი საწარმოს შექმნა და წარმოების დაწყება განკარგულების გამოცემიდან ორი წლის ვადაში;
- წარმოების დაწყებიდან არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უზრუნველყოს წარმოების პროფილის შენარჩუნება;
- შეთავაზებული პროდუქციის წლიური მოცულობის არანაკლებ 1 460 ტონა წარმოება უზრუნველყოს შემდეგი პირობებით:
 - ა) წარმოების დაწყებიდან პირველი წლის განმავლობაში - წარმოების შეთავაზებული წლიური მოცულობის არანაკლებ 25%;

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ბ) წარმოების დაწყებიდან მეორე წლის განმავლობაში - წარმოების შეთავაზებული წლიური მოცულობის არანაკლებ 50%

- განახორციელოს 3,755,202 ლარის ინვესტიცია შემდეგი გრაფიკის მიხედვით: (თანხა მოცემულია ერთეულ ლარში)
 - ა) ინვესტიციის არანაკლებ 25% - განკარგულების გამოცემიდან ერთი წლის განმავლობაში;
 - ბ) ინვესტიციების დარჩენილი ნაწილი - განკარგულების გამოცემიდან მეორე წლის განმავლობაში;

2018 წლის 15 მარტის განკარგულებით ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც საწარმოს შექმნა და წარმოების დაწყება გადავადდა 2019 წლის 17 აგვისტომდე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვადადამდგარი ყველა ვალდებულება.

2018 წლის ბოლოს შპს "ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე"-მ შეიძინა შენობა-ნაგებობა, რომელიც მანამდე იჯარით ჰქონდა აღებული. შენობა-ნაგებობაზე გაწეული დანახარჯები კომპანიას აღრიცხული ჰქონდა როგორც იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა, 2018 წლის ბოლოს შენობა-ნაგებობის ღირებულება მოიცავს შესყიდვის ღირებულებას დამატებული იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობაზე გაწეული დანახარჯები.

10. მარაგები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ნედლეული და მასალები	929	893
სარეალიზაციო მარაგი	61	71
სხვა მარაგი	30	45
ჯამი	1,020	1,009

11. სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	2,713	2,092
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(517)	(496)
ჯამი	2,196	1,596

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მოძრაობა:

	2018
ნაშთი წლის დასაწყისში	496
მოგება-ზარალში აღიარებული ცვლილება	21
ნაშთი წლის ბოლოს	517

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. ავანსები და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გადახდილი ავანსები	224	149
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2	50
ჯამი	226	199

13. ფულადი სახსრები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ბანკში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	19	115
ბანკში არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	4	9
საღაროში არსებული ფულადი სახსრები	99	19
ჯამი	122	143

14. კაპიტალი

დამფუძნებლებს შორის წილობრივი გადანაწილება პერიოდების მიხედვით არის შემდეგი:

მფლობელი	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ანდრო გეგენავა	25.00%	25.00%
შპს ჰოლდინგ.ჯი	25.00%	25.00%
სს ვაკე	50.00%	50.00%
	100%	100%

15. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სესხები	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ადგილობრივი	5% +				
დაწესებულებებისგან ნასესხები	რეფინანსირების	ლარი	28-02-26	1,003	-
სახსრები	განაკვეთი				
ადგილობრივი	3.5% +				
დაწესებულებებისგან ნასესხები	რეფინანსირების	ლარი	01-07-22	1,244	1,645
სახსრები	განაკვეთი				
ადგილობრივი	5% +				
დაწესებულებებისგან ნასესხები	რეფინანსირების	ლარი	19-06-25	394	-
სახსრები	განაკვეთი				
ადგილობრივი	5% +				
დაწესებულებებისგან ნასესხები	რეფინანსირების	ლარი	19-06-25	500	-
სახსრები	განაკვეთი				
ადგილობრივი	5% +				
დაწესებულებებისგან ნასესხები	რეფინანსირების	ლარი	19-06-25	700	-
სახსრები	განაკვეთი				
ჯამი				3,841	1,645

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მოკლევადიანი სესხი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
დამფუძნებლისგან ნასესხები სახსრები	18%	ლარი	31-12-19	40	38
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	რეფინანსირების განაკვეთი + 3.5-5%	ლარი	-	840	364
ჯამი				880	402

სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით და დატვირთულია იპოთეკით სს “თიბისი ბანკი“-ს სასარგებლოდ.

16. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
რესტრუქტურიზებული გადასახადის მიმდინარე ნაწილი	776	-
სხვა მოკლევადიანი გადასახადები	727	2090
სულ საგადასახადო ვალდებულებები	1,503	2,090

2018 წლის 22 იანვარს კომპანიასა და შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმდა შეთანხმება საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციაზე. დიდი გადაუხდელი ნაშთის დაგროვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ 2015 წლის 13 ივნისის სტიქიური უბედურების შედეგად კომპანიის ქარხანა და ძირითადი საწყობი დაიტბორა. კომპანიამ მიიღო დიდი ზარალი და შესაბამისად, ვერ შეძლო საგადასახადო დავალიანების დროული გადახდა.

შეთანხმების მიხედვით, კომპანიის ბარათზე არსებული დავალიანება შეადგენდა 1,537,035 ლარს, მათ შორის: 1,213,375 ლარი ძველი დავალიანება, მიმდინარე გადასახდელები 11,739 ლარი, ჯარიმა 2,805 ლარი და საურავი 309,116 ლარი. შეთანხმების მიხედვით, კომპანიის ჯამური დავალიანება განისაზღვრა 1,230,000 ლარის ოდენობით და შედგა გრაფიკი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს აღნიშნული დავალიანების დაფარვა. კომპანია გრაფიკის მიხედვით ახორციელებს გადახდებს. სხვაობას არსებულ დავალიანებასა და გადასახდელ თანხას შორის, კომპანია ასახავს სარგებლად მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდება ვალის ჩამოწერის წინაპირობები 2020 წელს (თანხები მოცემულია ერთეულ ლარში).

17. მიღებული ავანსები და სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გადასახდელი ხელფასები	38	96
მიღებული ავანსები	3	12
ჯამი	41	108

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	2,074	2,246
სავაჭრო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	131	79
ჯამი	2,205	2,325

19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2018 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
შპს ფუდსერვისი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	7	-
შპს კავკასიის იბერია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	11	-
სს ფუდმარტი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	133	96

2018 წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები:

რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეზე

კომპანია	კავშირის სახე	2018
შპს ფუდსერვისი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	6
შპს კავკასიის იბერია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	59
სს ფუდმარტი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	1,308

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2018
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	644

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის აგვისტოში კომპანიამ დაასრულა მშენებლობა და საწარმოო სიმძლავრეები სრულად გადაიტანა ახალ საწარმოში.

2019 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე კომპანიამ გახსნა 3 ახალი საფირმო მაღაზია.

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა—ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ლევან ჩხაიძე.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ხორცპროდუქტების წარმოება, დისტრიბუცია და საცალო გაყიდვები საფირმო მაღაზიებში. ბრენდის ისტორია იწყება 1961 წელს როდესაც თბილისში გაიხსნა პირველი სოსისების საამქრო.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2018	წილი
შემოსავალი ქსელური და საუბნო მაღაზიებისთვის საბითუმო მიწოდებიდან	20,567	88%
შემოსავალი პროდუქციის საფირმო მაღაზიებში რეალიზაციიდან	2,794	12%

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ხორცპროდუქტების ფართო არჩევანს. კომპანიას სრულ ასორტიმენტში აქვს 109 დასახელების პროდუქცია. ძირითადი ჯგუფები რისი წარმოებაც ხდება გამოიყურება შემდეგნაირად:

- სოსისები და სარდლები;
- მოხარშული ძეხვი;
- შებოლილი ძეხვი;
- ნედლად შებოლილი ძეხვები და ხორცპროდუქტები;
- შაშხი;
- ზელები და ნახევრადფაბრიკატები.

პროდუქციის წარმოება მიმდინარეობს ცენტრალიზებულად ერთ საამქროში, 2015 წლის 13 ივნისის წყალდიდობამ, მნიშვნელოვნად დააზარა კომპანია, დაიტბორა კომპანიის ქარხნის ტერიტორია მთლიანად და მენეჯმენტი და მფლობელები იძულებული გახდნენ წარმოება გადაეტანათ სხვა ადგილზე.

საწარმოო პროცესთან ერთად კომპანია ასევე მართავს დისტრიბუციის ქსელს ქსელური მაღაზიებისა და სხვა მომხმარებლების მომარაგებისთვის და ასევე ფლობს საფირმო მაღაზიების ქსელს (5 თბილისში და ერთ-ერთი ქუთაისსა და ბათუმში) სადაც მომხმარებელს საშუალება აქვს შეიძინოს ყველაზე ფართო ასორტიმენტით წარმოდგენილი კომპანიის პროდუქცია. 2019 წლამდე მენეჯმენტის გადაწყვეტილებით რეგიონებში მომარაგება ხორციელდებოდა სატელიტ სადისტრიბუციო კომპანიებთან თანამშრომლობით, რომლებსაც ჰქონდათ გარკვეულ ტერიტორიაზე პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლება. შედეგების ანალიზიდან გამომდინარე 2019 წელს შეიცვალა მიდგომა და სავაჭრო წერტილების მომარაგება ხორციელდება საკუთარი ძალებით.

2018 წელს კომპანიის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდიოდა თბილისზე (86%).

ამონაგები კატეგორიების მიხედვით შესაძლოა წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

კატეგორია	2018
დაფასოებული ხორცპროდუქტები	11,925
ხორცპროდუქტები დაფასოების გარეშე	10,471
ნახევარფაბრიკატები	436
სხვა პროდუქცია	529
ჯამი	23,361

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის დირექტორი 2018 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ლევან ჩხაიძე. კომპანიის დირექტორს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო და მოქმედებს წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და წარმოადგენს კომპანიას გარეშე პირებთან ურთიერთობაში.


შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2018 წლის შემოსავალმა შეადგინა 23,395 ლარი, რაც დაახლოებით 5%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

კომპანიის შემოსავლების დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში:



2018 წლის კომპანიის ძირითადი კოეფიციენტები:	2018
სულ შემოსავალი	23,395
სულ აქტივები	7,654
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	250
მარჟა	28.64%
EBITDA	1,898
EBITDA %	8.1%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.55
მარაგების ბრუნვა (დღე)	22.21
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	48.28
დებიტორების ბრუნვა (დღე)	28.14

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 240 დან 260-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია კვალიფიციური კადრების მოძიება, შენარჩუნება და მუდმივი ზრუნვა მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ასევე არანაკლებ პრიორიტეტულია დარგში არსებული სიახლეების შესაბამისად პერსონალის გადამზადება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება.

კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოების პროცესში უსაფრთხოების ნორმების დაცვა და სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის წარმოება. ამისთვის როგორც ზემოთ აღინიშნა კომპანიაში ინერგება ხარისხის კონტროლის სტანდარტი. კომპანიის მენეჯმენტი არანაკლებ ყურადღებას უთმობს თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხს. ამ მიზნით, საწარმოო პროცესი ყოველთვის მიმდინარეობს უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში. კომპანიამ ბოლო საგადასახადო შემოწმება გაიარა მიმდინარე საანგარიშგებო წელს.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანია მუდამ ფიქრობს განვითარებაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. კომპანიის გეგმებშია ქსელის მოდერნიზაცია და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

კომპანია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და შესთავაზოს ხელსაყრელი კომერციული პირობები არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს, რათა მოხდეს ახალი კომპანიების მოზიდვა და შესაბამისად რეალიზაციის მოცულობის ზრდა.

ახალი ლოკაციების დამატება

კომპანიის გეგმებში შედის ახალი საფირმო მაღაზიების გახსნა და ქსელის გაფართოება როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

ახალი პროდუქციის დამატება

კომპანია მუდმივად მუშაობს ახალი ასორტიმენტის შექმნაზე და მომხმარებლისათვის მრავალფეროვანი პროდუქციის შეთავაზებაზე. აღნიშნული მიმართულებით კომპანიაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2018 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2018 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფინანსური ანგარიშგების არე	2018	2017	გადახრის ახსნა
ძირითადი საშუალებები	3,329	1,264	შენიშვნა 1
აღებული სესხები	4,721	2,047	შენიშვნა 2
გრძელვადიანი საგადასახადო ვალდებულებები	78	-	შენიშვნა 3

შენიშვნა #1:

ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა უკავშირდება კომპანიის მიერ ახალი ქარხნის მშენებლობას, რისთვისაც კომპანიამ სახელმწიფოსგან მიიღო მიწა სიმბოლურ ფასად და აიღო ინვესტიციის განხორციელების ვაკლდებულება.

შენიშვნა #2:

აღებული სესხები 2018 წელს გაიზარდა იმის გამო, რომ ახალი ქარხნის მშენებლობისთვის კომპანიამ მოიზიდა დამატებითი სახსრები ადგილობრივი ბანკისგან მშენებლობის დასაფინანსებლად.

შენიშვნა #3:

გრძელვადიანი საგადასახადო ვალდებულება წარმოიშვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული შეთანხმების შედეგად, რის საფუძველზეც კომპანიას გადაუვადდა დაგროვილი საგადასახადო დავალიანების გადახდა. გადასახადების დაგროვება გამოიწვია 2015 წელს მომხდარმა წყალდიდობამ რა დროსაც თითქმის მთლიანად განადგურდა ძველი ქარხნის ტერიტორია, გარკვეული პერიოდი გაჩერდა საწარმოო პროცესი და მენეჯმენტს დაჭირდა მნიშვნელოვანი ძალისხმევა რომ გადალახულიყო არსებული პრობლემები და გაგრძელებულიყო კომპანიის საქმიანობა.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	2018
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,729.6
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	15.1
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,345.5
მშპ-ის რეალური ზრდა, %	4.7%
საშუალო წლიური ინფლაცია	2.60%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,232.0
უმუშევრობის დონე, %	12.70%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით,

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული FMCG ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიის არსებული კლიენტებისთვის.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე სააგანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით. საკრედიტო რისკი არ წარმოიშვება საფირმო მაღაზიებში რეალიზაციის შედეგად რადგან ანგარიშსწორება როგორც წესი ხდება სალაროსთან პროდუქციის შეძენისთანავე.

საბაზრო რისკი


საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი ნაწილი აქვს ლარში, შესაბამისად მენეჯმენტი არ განიხილავს სავალუტო რისკს მნიშვნელოვან რისკად ბიზნესისათვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი. 2018 წლის 31 დეკემბერს არსებული სესხის ნაშთის გათვალისწინებით განაკვეთის 0.5%-იან ცვლილებას

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი არ წარმოადგენს კომპანიისთვის მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 22 ნოემბერს.


ლევან ჩხაიძე
დირექტორი

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული FMCG ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიის არსებული კლიენტებისთვის.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით. საკრედიტო რისკი არ წარმოიშვება საფირმო მაღაზიებში რეალიზაციის შედეგად რადგან ანგარიშსწორება როგორც წესი ხდება სალაროსთან პროდუქციის შეძენისთანავე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებადობის გამო. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი ნაწილი აქვს ლარში, შესაბამისად მენეჯმენტი არ განიხილავს სავალუტო რისკს მნიშვნელოვან რისკად ბიზნესისათვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშვება საპროცენტო განაკვეთის რისკი. 2018 წლის 31 დეკემბერს არსებული სესხის ნაშთის გათვალისწინებით განაკვეთის 0.5%-იან ცვლილებას

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი არ წარმოადგენს კომპანიისთვის მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 22 ნოემბერს.

ლევან ჩხაიძე
დირექტორი